სადოქტორო პროგრამის სახელწოდება –ენდოკრინოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ელენე გიორგაძე.

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება. :

ა) პროგრამის მიზანი : წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უზრუნველყოს დოქტორანტი უწყვეტი და მრავალმხრივი შესაძლებლობებით, რათა ენდოკრინოლოგიის თანამედროვე სამეცნიერო კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით პროფილიზებულ ენდოკრინოლოგიურ კლინიკაში მოიპოვოს სარწმუნო კლინიკური მასალა და აწარმოოს სამეცნიერო კვლევა;

შეისწავლოს სრულად ფაქტებზე დამყარებული მედიცინის მეთოდოლოგიური პრინციპები კონკრეტული ენდოკრინული პათოლოგიის განვითარების მექანიზმის ასახსნელად;

შეისწავლოს კრიტიკული, მწვავე და ქრონიკული მდგომარეობების მართვისათვის, ენდოკრინული ავადმყოფობების კვლევის, დიაგნოსტიკის და მკურნალობისათვის აუცილებელი ძირითადი პრინციპები.

სამეცნიერო კვლევის სავარაუდო საკვლევი პრობლემები:

- ***ინსულინრეზისტენტობა და ცხიმოვანი ქსოვილის ტოპოგრაფია სიმსუქნით დაავადებულ მენოპაუზური პერიოდის ქალებში.***
- ***ანდროგენდეფიციტი და ინსულინრეზისტენტობა სიმსუქნით დაავადებულ მამაკაცებში.***

ბ) პროგრამის შედეგი:

აღნიშნული პრობლემების მიმართულებით ჩატარებული სამეცნიერო კვლევა ხელს შეუწყობს კონკრეტული ენდოკრინული პათოლოგიების ეტიოპათოგენური მექანიზმების უფრო ღრმად შესწავლას და ენდოკრინული დაავადებებისა და მათი გართულებების ადრეული გამოვლენისათვის დიაგნოსტიკური კრიტერიუმების შემუშავებას, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად და აქტიურად დაინერგოს პრევენციული ღონისძიებები და შემუშავდეს თანამედროვე, პათოგენეზზე ორიენტირებული მკურნალობის მეთოდები.

დარგობრივი კვალიფიკაცია, ცოდნა, კომპეტენციები, უნარ-ჩვევები. პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული შეძლებს:

- დამოუკიდებლად დაგეგმოს და აწარმოოს სამეცნიერო კვლევა;
- აწარმოოს ენდოკრინული ავადმყოფების გამოკვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად;
- მართოს კრიტიკული, მწვავე და ქრონიკული მდგომარეობები ენდოკრინოლოგიაში.

გ) კურსადამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

პრაქტიკული კლინიკური საქმიანობა სპეციალიზებულ ენდოკრინოლოგიურ კლინიკაში ან/და მრავალპროფილიან კლინიკაში ექიმ-ენდოკრინოლოგის სპეციალობით;

სასწავლო პროცესში მონაწილეობა.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. რეზიდენტურის კურსის გავლა ენდოკრინოლოგიაში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული სხვა პირობების შესრულება.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა – პროგრამა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან.

სასწავლო კომპონენტი.

დოქტორანტმა უნდა დააგროვოს *180 კრედიტი,* სასწავლო კომპონენტს მინიჭებული აქვს *55 კრედიტი.* დანარჩენი 125 კრედიტი მთლიანად ეთმობა სამეცნიერო კვლევას.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა წარმოდგენილია საუნივერსიტეტო ენდოკრინოლოგიური კლინიკით, რომელიც შედგება შემდეგი ბლოკებისაგან: თერაპიული ენდოკრინოლოგიური კლინიკა შესაბამისი სამსახურებით (ნუტრიციოლოგია, ობეზიტოლოგია, რეპროდუქციული ენდოკრინოლოგია, ოფთალმოლოგია, მეტაბოლური ოსტეოპათოლოგია, დიაბეტოლოგია, ფიზიოთერაპია, კარდიოლოგია), დიაგნოსტიკური ბლოკის (კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევის ყველა თანამედროვე მეთოდოლოგია ენდოკრინოლოგიაში) და ქირურგიული ბლოკისაგან.

ენდოკრინული კლინიკა შედგება ჰოსპიტალური სექტორის, საოპერაციო ბლოკისა და დღის სტაციონარისაგან.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შესაძლებელია ენდოკრინოლოგიურ კლინიკაში ჩაირიცხოს სამი დოქტორანტი.

პროგრამაში მონაწილეობენ ელენე გიორგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის დოქტორი მარინა ცაგარელი.